

წაკითხულის გააზრება და ანალიტიკური წერა

დღეს გამოცდა ჩატარდება წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

- წაკითხულის გააზრების ნაწილი შედგება სამი ტექსტისა და 21 ტესტური დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 21.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

- ანალიტიკური წერის ნაწილი შედგება ორი დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 18.
თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 9.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



წაკითხულის გააზრება

II ვარიანტი

21 შეკითხვა

დრო – 1 სთ 15 წთ

ტექსტი №1

I მონეტის შემოღებასა და ფულზე გაცვლა-გამოცვლის განვითარებასთან ერთად ძველი ბერძნების ცხოვრებაში თანდათან გაფართოვდა ფულადი ოპერაციები და მევახშეობა. რაც უფრო იზრდებოდა და ფართოვდებოდა საბერძნეთში ვაჭრობა, მით უფრო საჭირო ხდებოდა მოვაჭრეებისათვის თანხების მოპოვება. მევახშეები სესხს აძლევდნენ როგორც კერძო პირებს, ისე საზოგადოებებს მიწის საწინდრით (მიწის კრედიტი), ქალაქის სახლების დაგირავებით (საქალაქო კრედიტი), ასევე ხომალდებისა და მათი საქონლის საწინდრით (საზღვაო კრედიტი). არსებობდა ასევე სესხის აღება სხეულის საწინდრით. სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში მევახშეებს შეეძლოთ მსესხებელი ან თავისთვის დაეტოვებინათ მონად, ან უცხო ქვეყანაში გაეყიდათ. მოვალეები **ჰექტემორებად** იწოდებოდნენ. წყაროებიდან ჩანს, რომ თუ მოვალე არ ასრულებდა დაკისრებულ პირობას, კრედიტორი სასამართლოს საშუალებით ცდილობდა გასესხებული თანხების განაღდებას.

II სესხის გაცემა შეეძლოთ როგორც ათენელებს, ისე ათენში მცხოვრებ უცხოელებსაც, როგორც ვაჭრებს, ისე იმ პირებს, რომლებიც ვაჭრობასთან არ იყვნენ დაკავშირებულნი და საკრედიტო ოპერაციებით ირჩენდნენ თავს. სესხის გაცემას უმეტესწილად აწარმოებდა რამდენიმე პირისაგან შემდგარი ამხანაგობა. თანხებს პროცენტებით გასცემდნენ ასევე ტაძრები. მალე ეს თანხები საკმარისი არ აღმოჩნდა და ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა ბანკები, ე. წ. **ტრაპეზიტები**. ისინი გასცემდნენ კრედიტებს და განსაკუთრებით მაღალი რისკის ღონისძიებისას საკმაოდ დიდ საპროცენტო განაკვეთებს ითხოვდნენ. ტრაპეზიტები ასევე ახურდავებდნენ ფულს, ინახავდნენ კერძო პირების ფულს, აწარმოებდნენ სხვადასხვა პირებს შორის ანგარიშსწორებას, ხსნიდნენ მიმდინარე ანგარიშებს. ამ ოპერაციებს ისინი განსაკუთრებულ წიგნებში ინიშნავდნენ. საინტერესოა, რომ ანტიკურ საბერძნეთში სახელმწიფო ხაზინაში გათვალისწინებული იყო გარკვეული ტიპის დახმარებები. ათენის მმართველის, **პერიკლეს** რეფორმას უკავშირდება სახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის გასამრჯელოს დაწესება. თავდაპირველად სახალხო სამსჯავროს ნაფიც მსაჯულებს, შემდეგ კი სხვა პირებსაც საზოგადოებრივი სამსახურისთვის ეძლეოდათ საზღაური.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

III აღსანიშნავია ათენელი კანონმდებლის, სოლონის რეფორმები, რომელმაც ყურადღება მიაქცია ვალების გამო სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილ ხალხს. მან საბოლოოდ აკრძალა სესხის აღება სხეულის საწინდრით და სრულად გააუქმა მასთან დაკავშირებული ვალები. სოლონის რეფორმების შედეგად ათენსა და მის მიმდებარე დასახლებებში ბევრი მონა გათავისუფლდა, რის შედეგადაც დაბრუნდნენ გაყიდული თუ ვალების გამო გაქცეული ათენელები, რომელთაც სხვა ქვეყნებში ხანგრძლივი ხეტიალის გამო უკვე დავიწყებულიც კი ჰქონდათ თავიანთი ენა.

IV რომში ვალის უძველეს სახეობას **ნექსუმი** ეწოდებოდა, რომელსაც თან ერთვოდა დამატებითი მოლაპარაკება პროცენტებზე. თუ მოვალე დროულად არ დააბრუნებდა ვალს, ის კრედიტორის განკარგულებაში გადადიოდა. მას კი, თავის მხრივ, შეეძლო ბორკილები დაედო მისთვის, მოეკლა ან მონად ექცია, ვიდრე მოვალე თავის ვალს არ გამოიმუშავებდა. ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს გამოიცა კანონი, რომელმაც შეარბილა მევალეობის ეს ფორმა. რომაელი ბანკირები აძლევდნენ ფულად კრედიტებს ქალაქებს, საზოგადოებებსა და კერძო პირებს და კისრულობდნენ ყველა ფულადი ოპერაციის წარმოებას – ახურდავებდნენ და ინახავდნენ ფულს. წარმოებული ფულადი ოპერაციები შეჰქონდათ ცალკე საანგარიშო დავთრებში. ფულადი ოპერაციების, აუქციონებისა და სავაჭრო გარიგებების ცენტრს ქალაქი რომი წარმოადგენდა. საბანკო კანტორები განთავსებული იყო ფორუმზე, კასტორის ტაძართან მდებარე განსაკუთრებულ შენობებში.

V მართალია, ძველად საქართველოში არ არსებობდა იმ სახის ბანკები, როგორებიც ძველ საბერძნეთსა და რომში ფუნქციონირებდა, თუმცა მევახშეობის ინსტიტუტი საკმაოდ გავრცელებული იყო. საქართველოში განსაკუთრებით მაშინ გავრცელდა მევახშეობა, როდესაც ყოველწლიურად დამპყრობელ ქვეყნებში მოსახლეობისაგან ხარკის სახით დიდი ფული გადიოდა და სახელმწიფო სალაროც საკმაოდ გაღარიბებული იყო. ამ გარემოებამ ფულის მნიშვნელობა ძალზე გაზარდა, მიწის ფასი კი შეამცირა. ამრიგად, უმიწაწყოლად რჩებოდა არა მარტო გლეხი, არამედ თვით მემამულე-ფეოდალიც. საბოლოოდ კი სოფლის მეურნეობა ზარალდებოდა – ის თანდათან კარგავდა საწარმოო საშუალებას, მიწას. როგორც წყაროები გადმოგვცემს, ძველად საქართველოში არსებობდა სპეციალური საკრედიტო გამსესხებელ-დამგირავებელი და სავაჭრო ამხანაგობა, რომელსაც **ორტალი** ეწოდებოდა. გასაკვირი არაა, რომ ვალში დაგირავებული მამულები ასეთი გაჭირვებისას გამოუსყიდველი რჩებოდა. ეს მიწები პატრონს ეკარგებოდა, ხოლო ვაჭარ-ორტალები მას ყიდდნენ და საბოლოოდ ისინი მსხვილ მემამულეს რჩებოდა.

ტექსტი შედგენილია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: „დემოკრატიული ტენდენციები: ანტიკური სამყარო და საქართველო“, რედ. ქ. აბესაძე, 2012.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

1. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) ხაზი გაუსვას რომის მევახშეობის სისტემის უპირატესობას საბერძნეთისა და საქართველოს მევახშეობის სისტემებთან შედარებით.
- (ბ) ერთმანეთს შეადაროს ძველი ბერძენი, რომაელი და ქართველი მევახშეების საქმიანობა.
- (გ) გამოკვეთოს ბანკირების როლი მევახშეობის საქმეში ძველი საბერძნეთის, რომისა და საქართველოს მაგალითზე.
- (დ) მიმოიხილოს მევახშეობის სისტემები ძველ საბერძნეთში, რომსა და საქართველოში.
- (ე) გაგვაცნოს მევახშეობასთან დაკავშირებული ძველი ბერძნული, რომაული და ქართული ტერმინოლოგია.

2. საბერძნეთის სავაჭრო სისტემის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელია მართებული?

საბერძნეთში:

- (ა) მევახშეობის დარეგულირებაში, ზოგ შემთხვევაში, ერეოდნენ პოლიტიკური ფიგურები.
- (ბ) ტრაპეზიტები გასესხებული თანხის გადაუხდელობის გამო მოვალეებს სჯიდნენ.
- (გ) მევახშეობის განვითარება პირდაპირ კავშირში იყო გარკვეულ ძვრებთან სოფლის მეურნეობის სფეროში.
- (დ) იმისათვის, რომ მოვაჭრე სავაჭრო სისტემაში ჩართულიყო, მას თავისი საქმიანობისათვის თავი უნდა დაენებებინა.
- (ე) ტაძრები, ტრაპეზიტებთან შედარებით, ნაკლები საპროცენტო განაკვეთით გასცემდნენ კრედიტებს.

3. საბერძნეთისა და რომის სავაზმო სისტემების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მცდარი?

- (ა) როგორც ბერძნული, ისე რომაული ბანკები მხოლოდ კრედიტების გაცემით არ იყვნენ დაკავებულები.
- (ბ) როგორც ბერძნულ, ისე რომაულ ბანკებში საბანკო ოპერაციები აღირიცხებოდა.
- (გ) როგორც საბერძნეთში, ისე რომში მევახშეობის განსაკუთრებით მკაცრი ფორმები კანონმა დაარეგულირა.
- (დ) როგორც საბერძნეთში, ისე რომში ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში მევახშეს მოვალე შეეძლო მონად ექცია.
- (ე) როგორც ბერძნულ, ისე რომაულ ბანკებში სესხი მხოლოდ კერძო პირებზე გაიცემოდა.

4. ბერძნული და რომაული სავახშო სისტემების რომელ კომპონენტს შეესაბამება ქართულ სავახშო სისტემაში ორტალი?

(ა) ჰექტემორს

(ბ) ნექსუმს

(გ) ხაზინას

(დ) ტრაპეზიტს

(ე) აუქციონს

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

5. ტექსტის მიხედვით, რა იყო ის მთავარი მიზეზი, რამაც საქართველოში ბიძგი მისცა მევახშეობის გაჩენას?

- (ა) სავაჭრო ამხანაგობების ჩამოყალიბება.
- (ბ) სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა.
- (გ) როგორც მემამულის, ისე გლეხის გადატაკება.
- (დ) ორტალების მიერ მიწების გაყიდვა.
- (ე) დამპყრობელი ქვეყნებისათვის ყოველწლიური ხარკის გადახდა.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

6. მმართველთა გადაწყვეტილებით, ყოველწლიურად ზღვაში აგზავნიდნენ 60 ხომალდს, რომელთა ეკიპაჟებიც 6 თვის განმავლობაში იღებდნენ საფასურს. ახალგაზრდები ეუფლებოდნენ საზღვაო საქმეს, რომლის ცოდნაც მათ ომის დროს გამოადგებოდათ.

რომელ აზრს შეავსებდა ეს მაგალითი?

- (ა) I-ს
- (ბ) II-ს
- (გ) III-ს
- (დ) IV-ს
- (ე) V-ს

7. ტექსტის ბოლო აბზაცში:

- (ა) შეჯამებულია ტექსტში განხილული საკითხი.
- (ბ) გავრცობილია წინა აბზაცში მოყვანილი მსჯელობა.
- (გ) შეჯამებულია წინა აბზაცში წარმოდგენილი მსჯელობა.
- (დ) განხილულია ტექსტის ძირითად თემასთან დაკავშირებული კიდევ ერთი საკითხი.
- (ე) წარმოდგენილია დასკვნა, რომელიც ემყარება ტექსტში განხილულ მაგალითებს.

ტექსტი №2

I ყოველი ადამიანი რეალურად მოცემულ სივრცესა და დროში ცხოვრობს, მაგრამ არსებული რეალობის აღქმის პროცესი ობიექტური არ არის. რეალობის ერთი და იგივე მონაკვეთი სხვადასხვა ინდივიდის მიერ ხშირად განსხვავებულად აღიქმება და აღიწერება. ამ ფაქტის განმარტების ერთ-ერთ მცდელობას წარმოადგენს ის მოსაზრება, რომ სამყაროს აღქმისას ადამიანი ეყრდნობა ენას, ასე ვთქვათ, ენის პრიზმაში ხედავს რეალობას. შესაბამისად, სამყაროს სურათიც აიგება იმ ენობრივი ნორმების გათვალისწინებით, რომელზედაც ეს ადამიანი ლაპარაკობს, ანუ ენა გავლენას ახდენს ადამიანის აზროვნებასა და გამოცდილებაზე. ენის ფუნქციის ასეთ ხედვას უკავშირდება ლინგვისტური დეტერმინიზმისა და ლინგვისტური რელატივიზმის ცნებები. ლინგვისტური დეტერმინიზმი ნიშნავს, რომ ენას შეუძლია განაპირობოს აზროვნება, ხოლო ლინგვისტური რელატივიზმი (ფარდობითობა) ნიშნავს, რომ ეს განპირობებულობა უკავშირდება იმ კონკრეტულ ენას, რომელზედაც პიროვნება მეტყველებს.

II ამერიკელმა მეცნიერებმა სეპირმა (1884-1939) და უორფმა (1897-1941) შეიმუშავეს ჰიპოთეზა, რომლის თანახმად ცალკეული ენების სისტემები განსაზღვრავს ამ ენაზე მოლაპარაკეთა აზროვნებას. უორფმა ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი ტომის, ჰოპის ენის შესწავლისას დაადგინა, რომ ამ ენის გრამატიკული სტრუქტურა ძალზე განსხვავდება ინდო-ევროპული ენების სტრუქტურისაგან. ეს სხვაობა იმდენად დიდია, რომ გარკვეული ტექსტების თარგმნა ამ ენაზე პრაქტიკულად გამორიცხულია. უორფის მიხედვით, ჰოპის ტომის ინდიელები სამყაროს ევროპელებისაგან განსხვავებულად აღიქვამენ და, შესაბამისად, განსხვავებული აზროვნებაც აქვთ. აზროვნებისა და ენის ასეთ ურთიერთდამოკიდებულებას „ლინგვისტური ფარდობითობის პრინციპი“ ეწოდა, რომლის თანახმად ადამიანის შემეცნება რელატიურია ცალკეული ენების სისტემების შესაძლებლობების გათვალისწინებით. ადამიანები, რომლებიც ძალზე განსხვავებული გრამატიკების მქონე ენებს იყენებენ, ამ გრამატიკებს ტიპობრივად განსხვავებულ დაკვირვებამდე და გარეგნულად მსგავს დაკვირვებათა განსხვავებულ შეფასებებამდე მიჰყავთ.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

III გერმანელი ფილოსოფოსისა და ენათმეცნიერის, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის გავლენით, მსგავსი თეორია წამოაყენა „შინაარსობრივი გრამატიკის“ ფუძემდებელმა, ვაისგერბერმაც (1899–1985). ვაისგერბერის თანახმად, ენა შეგრძნებების გაუფორმებელ ნაკადსა და ენობრივ კოლექტივს შორის შუალედურ სამყაროს წარმოადგენს. ენის ასეთი შუალედური მდგომარეობა სხვადასხვა ენაში სამყაროს განსხვავებული აღქმის მიზეზი ხდება. მართლაც, სხვადასხვა ენა სამყაროს სხვადასხვაგვარად ანაწევრებს. სამყაროს განსხვავებული აღქმა ნათლად ჩანს სხვადასხვა ენის ლექსიკის შედარებიდანაც, რომელიც აღწერს სინამდვილის რომელიმე მონაკვეთს. ასე მაგალითად, ადამიანის თვალი უამრავ სხვადასხვა ფერს განასხვავებს, ბევრად მეტს, ვიდრე ფერთა ამსახველი სახელწოდებებია მოცემული ამა თუ იმ ენაში. სხვადასხვა ენაც ფერთა სპექტრს განსხვავებულად ყოფს, გარკვეულ კლასებად აჯგუფებს, სხვადასხვაგვარად ანაწევრებს სამყაროს. არსებობს ისეთი ენები, რომლებიც სხვა ენებში ორ ცნებად მოცემულ ფერებს ერთი ცნებით ფარავს, მაგალითად, ლურჯსა და მწვანეს ბრეტონელები ერთი სიტყვით აღნიშნავენ. ვაისგერბერის მიხედვით, საგნების აღწერისას შესაბამისი ენის მატარებლები მხოლოდ იმ ფერებს „ხედავენ“, რომელთა დასახელება, ანუ რომელთა აღმნიშვნელი სიტყვები არის მოცემული მათ ენაში.

IV უორფის და სეპირის თეორიას თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. აზროვნებაზე ენობრივი სტრუქტურების ან „სიტყვათა სემანტიკური ველების“ გავლენა, ისევე, როგორც ამ გავლენის მოცულობა, ბოლომდე არ არის გარკვეული.

V XXI საუკუნეში კვლავაც მეცნიერთა განსჯის საგანია საკითხი, თუ რამდენად ძლიერად განსაზღვრავს ენა რეალობის აღქმას. დღეს მიიჩნევენ, რომ როგორც არ უნდა აღნიშნავდნენ რომელიმე ენაში სხვადასხვა მოვლენასა თუ ფაქტს, მაგალითად, ფერს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ენის მატარებლები ვერ ამჩნევენ განსხვავებებს ფერებს შორის. იგივე აზრი არსებობს გრამატიკული სტრუქტურების შედარების შესახებ. მაგალითად, შვეიცარიულ გერმანულში მომავლის დროის გრამატიკული ფორმების ნაკლებობის მიუხედავად, ვერავინ იტყვის, რომ შვეიცარიელები მომავალს გერმანელებზე ან, ვთქვათ, პოლონელებზე უარესად გეგმავენ.

ტექსტი შედგენილია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: ი. მინდაძე „ფსიქოლინგვისტიკა“, 2009.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

8. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) განიხილოს ლინგვისტური დეტერმინიზმისა და ლინგვისტური რელატივიზმის თეორიები.
- (ბ) დაამტკიცოს სხვადასხვა ენაში სამყაროს განსხვავებული აღქმის არსებობა.
- (გ) განიხილოს მაგალითები, რომლებიც წარმოაჩენს რეალობის აღქმაზე ენის განსაკუთრებულ გავლენას.
- (დ) განიხილოს ჰიპოთეზები სხვადასხვა ხალხთა მიერ სამყაროს ობიექტური ხედვის შესახებ.
- (ე) განიხილოს საკითხი, თუ რამდენად ახდენს ენა ზეგავლენას ადამიანის ცნობიერებაზე, სამყაროს ხედვაზე.

9. ჩამოთვლილ მოსაზრებათაგან რომელი არ გვხვდება ტექსტში?

- (ა) განსხვავებული გრამატიკული სტრუქტურების მქონე ენებზე მოსაუბრეებს სამყაროს განსხვავებული ხედვა აქვთ.
- (ბ) ლინგვისტური დეტერმინიზმისა და ლინგვისტური რელატივიზმის მიხედვით, ენობრივი სისტემები აზროვნებით არის განპირობებული.
- (გ) ამა თუ იმ ენის ლექსიკაში არეკლილია ის, თუ როგორ ანაწევრებს ამ ენის მატარებელი სამყაროს.
- (დ) ბრეტონელების ენაში ლურჯი და მწვანე ფერები ერთი სიტყვით არის აღნიშნული.
- (ე) ენათა სხვადასხვა სისტემები განსხვავებულ ენობრივ შესაძლებლობებს ფლობენ.

10. ვაისგერბერმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ:

- (ა) თეორია ენის პრიზმაში სამყაროს ხედვის შესახებ ლინგვისტიკის წინაშე დასმულ ბევრ შეკითხვაზე იძლევა პასუხს.
- (ბ) ხალხები, რომელთა ენები ინდო-ევროპულ ენათა ჯგუფს არ განეკუთვნება, ინდო-ევროპულ ენათა ჯგუფში შემავალი ხალხებისაგან განსხვავებულად აზროვნებენ.
- (გ) სხვადასხვა ენაში ერთი და იგივე საგნები და მოვლენები სხვადასხვაგვარად არის დაყოფილი და დაჯგუფებული.
- (დ) სხვაობა გრამატიკულ სტრუქტურებში ზოგჯერ არ იძლევა ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის შესაძლებლობას.
- (ე) სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები, ენებში განსხვავებული გრამატიკული კონსტრუქციების არსებობის მიუხედავად, ერთნაირად აღიქვამენ სამყაროს.

11. როგორია ავტორის დამოკიდებულება ტექსტში წარმოდგენილი თეორიების მიმართ?

- (ა) ავტორი კრიტიკულად აფასებს სეპირისა და უორფის თეორიებს, ხოლო ვაისგერბერის თეორია მისთვის მეტ-ნაკლებად მისაღებია.
- (ბ) ავტორი ყველა თეორიის მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი.
- (გ) ავტორი მიუკერძოებლად გადმოსცემს ინფორმაციას ყველა თეორიის შესახებ.
- (დ) ავტორი აკრიტიკებს გასული საუკუნის თეორიებს, მისთვის მხოლოდ XXI საუკუნის მეცნიერთა შეხედულებაა მისაღები.
- (ე) ავტორი კრიტიკულად აფასებს ვაისგერბერის თეორიას, ხოლო ლინგვისტური დეტერმინიზმისა და რელატივიზმის თეორიები მისთვის მისაღებია.

12. სულხან-საბას მიერ XVIII საუკუნეში შედგენილ ქართულ ლექსიკონში დასტურდება „წვიმის“ სახეობათა 10-ზე მეტი ლექსიკური შესატყვისი, რომლებიც დღეს ქართულ ენაში აღარ იხმარება. ეს იმაზე როდი მეტყველებს, რომ თანამედროვე ქართველები, ძველი ქართველებისაგან განსხვავებით, ერთმანეთისაგან საერთოდ ვერ განარჩევენ წვიმის სახეობებს.

ტექსტის რომელ აზნაგში გამოთქმულ მოსაზრებას უკავშირდება მოყვანილი მაგალითი?

- (ა) I
- (ბ) II
- (გ) III
- (დ) IV
- (ე) V

13. ქართულ ენაში მდებარეობითი და მამრობითი სქესის ნაცვალსახელების არარსებობის მიუხედავად, ქართველების წარმოდგენა ადამიანის სქესზე ისეთივეა, როგორც იმ ხალხებისა, რომელთა ენებში არის სქესის აღმნიშვნელი ნაცვალსახელები.

ბოლო აბზაცის მიხედვით, რაზე მიუთითებს ეს მაგალითი?

- (ა) გარკვეული გრამატიკული ფორმების არარსებობა ენაში არ ნიშნავს იმას, რომ ამ ენის მატარებელი ადამიანები სხვებისაგან განსხვავებულად აღიქვამენ სამყაროს.
- (ბ) ქართველები ისე არ ანაწევრებენ სამყაროს, როგორც სხვა ხალხები.
- (გ) ქართველთა აზროვნებაზე ენობრივი სტრუქტურების გავლენა არ არის ისეთი მასშტაბური, როგორც სხვა ხალხებზე.
- (დ) სხვადასხვა გრამატიკული სტრუქტურის ენებზე მოსაუბრე ადამიანები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ რეალობას.
- (ე) სხვადასხვა გრამატიკული სტრუქტურის ენებზე მოსაუბრე ადამიანები რეალობას ყოველთვის ერთნაირად აღიქვამენ.

14. ტექსტის ბოლო აბზაცში:

- (ა) გამოტანილია დასკვნა ტექსტში წარმოდგენილი მთავარი საკითხის შესახებ.
- (ბ) არგუმენტირებულად უარყოფილია ტექსტში წარმოდგენილი ჰიპოთეზები.
- (გ) მოყვანილია მაგალითები, რომლებიც საფუძველს უმყარებს ტექსტში დასმული მთავარი საკითხის გადაწყვეტას.
- (დ) წამოწეულია ტექსტში განხილული მთავარი საკითხის ახლებური ასპექტი და მოყვანილია მაგალითები მის საილუსტრაციოდ.
- (ე) მოყვანილია არგუმენტები, რომელიც მხარს უჭერს ტექსტში დასმული მთავარი საკითხის გადაწყვეტას.

ტექსტი №3

I საკუთარი თავის, სიცოცხლის სხვადასხვა ფორმის, პლანეტისა და მთლიანად სამყაროს შეცნობა ადამიანის შინაგანი მოთხოვნილებაა. მეცნიერები პასუხის გაცემას კონკრეტულ საკითხებზე ცდილობენ კვლევით, ინფორმაციის მოძიებითა და ახსნით. მეცნიერულ კვლევაში დაგეგმვასთან, წინააღმდეგობების დაძლევასთან, ლოგიკასთან ერთად ბევრია შემთხვევითი მოვლენა და სიურპრიზი. ამის გამო მეცნიერება გაცილებით ნაკლებად „დალაგებული“ და წინასწარ განსაზღვრულია, ვიდრე ადამიანების უმეტესობას ჰგონია.

II ბიოლოგიაში შერწყმულია მეცნიერული კვლევის ორი მთავარი მიმართულება: აღწერითი და ახსნითი, ანუ ჰიპოთეზებზე აგებული. ამ სფეროში აღწერითი მეცნიერება ძირითადად ბუნების აღწერაზეა დაფუძნებული; ჰიპოთეზებზე აგებული მეცნიერება კი – ბუნების ახსნაზე. საზოგადოდაც, მეცნიერულ კვლევათა უმეტესობა ამ ორი სახის კვლევის შერწყმაზეა აგებული.

III აღწერითი მეცნიერება ბიოლოგიის სფეროში აღწერს ბუნებრივ სტრუქტურებსა და პროცესებს მაქსიმალური სიზუსტით, რის შესაძლებლობასაც იძლევა დაკვირვებები და მიღებული შედეგების ანალიზი. მაგალითად, აღწერითი მეცნიერების მეშვეობით თანდათან ჩამოყალიბდა ჩვენი წარმოდგენა უჯრედის აგებულებაზე, ივსება მონაცემთა ბაზა სხვადასხვა სახეობის გენომის შესახებ და ა. შ. დაკვირვება არის ინფორმაციის შეგროვება პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, მაგალითად, მიკროსკოპის მეშვეობით; მონაცემები კი დაფიქსირებული დაკვირვებებია. მონაცემი ინფორმაციის ერთეულია, რომელსაც მეცნიერული კვლევა ეყრდნობა. მონაცემები ზოგს რაოდენობრივი – რიცხვების ან დიაგრამების – სახით წარმოუდგენია, მაგრამ ბევრი მონაცემი აღწერითი ხასიათისაა, ანუ თვისებრივი მონაცემია. აღწერითი მეცნიერების მეშვეობით გამოგვაქვს დასკვნები, რომლებიც დაფუძნებულია ლოგიკური აზროვნების გარკვეულ ტიპზე – ინდუქციურ აზროვნებაზე. ამ დროს განზოგადება კონკრეტული დაკვირვებების დიდ რაოდენობაზე დაყრდნობით ხდება. დაკვირვება და ინდუქცია ბიძგს აძლევს ბიოლოგებს, მოიძიონ და ახსნან ბუნებრივი მოვლენების მიზეზები. ჩნდება კითხვები, რომლებსაც, როგორც წესი, თან სდევს ჰიპოთეზური ახსნა და ამ ჰიპოთეზის შემოწმება.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

IV მეცნიერებაში ჰიპოთეზა არის კარგად შედგენილ კითხვაზე სავარაუდო პასუხი, ანუ სავარაუდო ახსნა. როგორც წესი, ეს კარგად დამუშავებული პოსტულატია, რომელიც ეყრდნობა აღწერითი მეცნიერების მონაცემებს და წარსულ გამოცდილებას. მეცნიერული ჰიპოთეზების მეშვეობით კი კეთდება პროგნოზები, რომელთა შემოწმება შეიძლება დამატებითი დაკვირვებებით ან კარგად დაგეგმილი ექსპერიმენტებით.

V ჰიპოთეზებზე აგებული მეცნიერება ეფუძნება **დედუქციას**, რომელიც ინდუქციის საპირისპიროა და ნიშნავს განზოგადებული ვარაუდის გავრცელებას კონკრეტულ შედეგზე. თუ ვარაუდი სწორი იყო, ვიღებთ მოსალოდნელ შედეგს. მაგალითად, თუ ყველა ორგანიზმი უჯრედული აგებულებისაა (ვარაუდი 1) და ადამიანი კი ორგანიზმს წარმოადგენს (ვარაუდი 2), მაშინ ადამიანიც უჯრედული აგებულებისაა. დედუქცია წინასწარმეტყველების ფორმითაა მოცემული, ანუ ხდება იმის წინასწარ განსაზღვრა, რა შედეგებს უნდა ველოდეთ დაკვირვებებისა თუ ექსპერიმენტების ჩატარების შემდეგ, თუ კონკრეტული ჰიპოთეზა (ვარაუდი) სწორია. შემდეგ ხდება ჰიპოთეზის ექსპერიმენტული შემოწმება იმის გასარკვევად, მივიღებთ თუ არა მოსალოდნელ შედეგს.

VI მეცნიერული კვლევა ბიოლოგებისათვის ბუნების შესწავლის მძლავრი იარაღია, მაგრამ არსებობს შეზღუდვებიც. ეს შეზღუდვები გამოწვეულია მეცნიერების მოთხოვნით, რომ შესაძლებელი იყოს ჰიპოთეზების შემოწმება და უარყოფა. ამისათვის დაკვირვებები და ექსპერიმენტები განმეორებადი უნდა იყოს. დაკვირვება, რომლის დამტკიცებაც შეუძლებელია, საინტერესო და შთამბეჭდავი შეიძლება იყოს, მაგრამ მეცნიერულად დადასტურებულად ვერ ჩაითვლება. დაბოლოს, შეზღუდვები მეცნიერებაში გამოწვეულია იმით, რომ მეცნიერება ყოველთვის ეძებს რეალურ, ბუნებრივ მიზეზს ბუნების ფენომენების ასახსნელად.

VII მეცნიერული თეორია გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ჰიპოთეზა. მეცნიერებაში აღიარებული თეორიები (მაგ., დარვინის ბუნებრივი გადარჩევის თეორია) დაფუძნებულია დაკვირვებათა მრავალფეროვნებაზე და დადასტურებულია შემოწმებული ჰიპოთეზებით. მეცნიერები ხანდახან ცვლიან ან უარყოფენ აღიარებულ თეორიებს, თუ მათი გამყარება, დადასტურება კვლევის ახალი მეთოდების საშუალებით მიღებული მონაცემებით არ ხდება. დაბოლოს, თეორია საკმაოდ განზოგადებული უნდა იყოს, რომ მისგან განვითარდეს ახალი, კონკრეტული ჰიპოთეზები.

ტექსტი შედგენილია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: ნ. კემპბელი, ჯ. ბ. რისი, „ბიოლოგია“. ქართულ ენაზე გამოიცა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, 2009.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

15. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) განმარტოს მეცნიერულ კვლევასთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინები.
- (ბ) წარმოაჩინოს მეცნიერული კვლევის არსი ბიოლოგიის მაგალითზე.
- (გ) განსაზღვროს მეცნიერული ჰიპოთეზის მნიშვნელობა მეცნიერების განვითარებაში.
- (დ) გაანალიზოს მეცნიერული კვლევის შეზღუდვები.
- (ე) ერთმანეთს შეადაროს აღწერითი და ახსნითი კვლევების სპეციფიკა ბიოლოგიაში.

16. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?

- (ა) თეორია ინდუქციურ მსჯელობას ეყრდნობა, ჰიპოთეზა კი დედუქციურს.
- (ბ) ჰიპოთეზა ზოგადი ვარაუდია, თეორია კი – კონკრეტული პასუხი საკვლევ საკითხზე.
- (გ) თეორია გაცილებით უფრო მეტ კითხვაზე იძლევა პასუხს, ვიდრე შემოწმებული ჰიპოთეზა.
- (დ) თეორიასა და ჰიპოთეზას შორის არსებითი განსხვავება არ არის.
- (ე) ექსპერიმენტული შემოწმების შედეგად თეორია უფრო ხშირად დასტურდება, ვიდრე ჰიპოთეზა.

17. დარვინის ბუნებრივი გადარჩევის თეორიის გავლენით, მეცნიერებმა წამოჭრეს და დაადასტურეს კონკრეტული ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი კუნძულის ბელურების ნისკარტის ფორმის ცვლილება განპირობებული იყო საკვების სპეციფიკით.

VII აბზაცში გამოთქმულ რომელ მოსაზრებას უკავშირდება ეს მაგალითი?

- I. მეცნიერებაში აღიარებული თეორიები ყოველთვის არის გამყარებული ფაქტებით.
- II. მეცნიერული თეორია უნდა იყოს ზოგადი, იმისათვის რომ ის საფუძვლად დაედოს ახალ ჰიპოთეზებს.
- III. მეცნიერები უარყოფენ აღიარებულ თეორიებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი კვლევის ახალი მეთოდების საშუალებით არ დასტურდება.

(ა) მხოლოდ I-ს.

(ბ) მხოლოდ II-ს.

(გ) მხოლოდ III-ს.

(დ) მხოლოდ I-სა და II-ს.

(ე) მხოლოდ II-სა და III-ს.

18. ჩამოთვლილთაგან რომელია თვისებრივი მონაცემის მაგალითი?

- (ა) ტემპერატურა 25-დან 15 გრადუსამდე დაეცა.
- (ბ) მცენარის სიმაღლე 25 სანტიმეტრია.
- (გ) კალმახი ცურავს მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით.
- (დ) წყვილ გულწითელას საშუალოდ სამი ბარტყი ჰყავს.
- (ე) კუჭის შიგთავსის არევა ხდება ყოველ 20 წამში ერთხელ.

19. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) სწორად ჩატარებული ექსპერიმენტი ჰიპოთეზის შემოწმების ერთ-ერთი საშუალებაა.
- (ბ) ბიოლოგია მეცნიერული კვლევისათვის ძირითადად რაოდენობრივ მონაცემებს იყენებს.
- (გ) კარგად დაგეგმილი კვლევა მეცნიერებაში წარმატების მიღწევის გარანტიაა.
- (დ) აღწერითი მეცნიერება თანაბრად ეფუძნება როგორც დედუქციას, ისე ინდუქციას.
- (ე) ბიოლოგია, მეცნიერების სხვა დარგებისაგან განსხვავებით, აღწერითი და ახსნითი სახის კვლევებზეა აგებული.

20. ტექსტიდან გამომდინარე, მსჯელობა „მიმიკრია უშხამო გველებში არის ადაპტაციური მექანიზმი, რომელიც იცავს მათ მტაცებლებისგან“ შეიძლება იყოს:

- I. დადასტურებული ჰიპოთეზა
- II. აღიარებული თეორია
- III. რაოდენობრივი მონაცემი

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ I და II
- (ე) მხოლოდ I და III

21. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?

- (ა) თუ მკვლევრის დაკვირვება ზუსტია, ის მის ჰიპოთეზას დაადასტურებს.
- (ბ) მონაცემი ბიოლოგიაში ეწოდება დაკვირვების გზით მიღებულ მხოლოდ რაოდენობრივ ინფორმაციას.
- (გ) აღწერითი მეცნიერების შემადგენელი ნაწილებია: დაკვირვება, მონაცემთა ანალიზი, დედუქცია.
- (დ) საინტერესო და შთამბეჭდავი ჰიპოთეზები, როგორც წესი, მეცნიერულადაც დასტურდება.
- (ე) მეცნიერული კვლევა ყოველთვის ბუნებრივ მიზეზებს ეძებს ბუნების ფენომენების ასახსნელად.

ტექსტის დასასრული

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----